ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1111308

ნომერი: AR1193478

თარიღი : 30.01.2014

გაცემის თარიღი : 06.02.2014

გაცნობის თარიღი : 07.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იაკობ გოგებაშვილი , N 46ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩიტაძე პ/ნ 01018000590
- თბილისი ნ.ბაშალეიშვილის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისისმერიისსსიპ– ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.08.2012 წლის #324188 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისისმერიის სსიპ – ქ. თბილისისარქიტექტურის სამსახურს 2014 წლის30 იანვარს # AR1193478 განცხადებით მომართეს გიორგი ჩიტაძემ და თამაზ ბოდოკიამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 29.08.2012 წლის#324188 ბრძანებაშიცვლილების შეტანატექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისისარქიტექტურის სამსახურის 29.08.2012 წლის#324188 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), გოგებაშვილი III შეს., #1; #3; #5; #7; #7/6, გოგებაშვილის ქ. #46ბ–ში შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ბლოკი-1 შენობა ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტიდა გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებისთანახმად, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისას განმცხადებლის მიერ არასწორად იქნამითითებული ცალკეული ფართების ციფრობრივი მაჩვენებელი, კერძოდ: საერთო ფართობი 7986.91 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 7996,91 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 4676.87 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 4686,87 კვ.მ.–ს, ხოლო დამხმარე ფართობი შეადგენს 693.48 კვ.მ.–ს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაშეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდესცვლილება ქ. თბილისისმერიის სსიპ– ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის29.08.2012 წლის#324188 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 7996,91 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 4676.87 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართობად მიეთითოს 693.48 კვ.მ.
2. დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისისმერიის სსიპ– ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის29.08.2012 წლის#324188 ბრძანება დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანებაგანხილული იქნასქ. თბილისისმერიის სსიპ– ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.08.2012 წლის#324188 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში(მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდანერთი თვისვადაში.